საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (შემდგომში - სამსახური) დაფუძნებულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის №385 დადგენილებით. ამავე დადგენილების შესაბამისად, სამსახურის უფლებამოსილება განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №247 ბრძანებით.

სამსახური შექმნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა (შემდგომში - სამინისტრო) და სხვა სახელმწიფო უწყებების ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების, ბიზნესპროცესების ავტომატიზების უზრუნველყოფის და ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების დანერგვის ხელშეწყობის, ელექტრონული მთავრობისა და ელექტრონული მმართველობის კომპონენტების განვითარებისა და შესაბამისი ელექტრონული სერვისების მიწოდების, აგრეთვე, სამინისტროს ინფორმაციული და ანალიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვის, საინფორმაციო სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაციის, სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების დანერგვის მიზნით.

სამსახურის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

სამსახურის მიზნებია:

- სამინისტროს ეფექტურად ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი საიმედო და ეფექტური მუშაობის და განვითარების უზრუნველყოფა;
- სამინისტროს უწყვეტად ფუნქციონირების ხელშეწყობა და მისი ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს ინფორმაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა;
- სამინისტროს საინფორმაციო სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია;
- საინფორმაციო სისტემების და ახალი სერვისების დანერგვა და განვითარება.

სამსახური, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

- ახორციელებს სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სამინისტროს სისტემის ორგანოებისათვის სასარგებლო ინფორმაციის შეგროვებას, სისიტემატიზაციას და მათი დაინტერესებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადამუშავებული სახით მიწოდებას;
- ახორციელებს საინფორმაციო სისიტემების უსაფრთხოების სტანდარტების შემუშავებას და დანერგვას;
- უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცვის საიმედოობას თანამედროვე პროგრამული და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- უზრუნველყოფს სამინისტროს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და მონაცემთა საცავების სისტემურ ადმინისტრირებას;
- უზრუნველყოფს სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, სამინისტროს სისტემის ორგანოებსა და მათ ტერიტორიულ ორგანოებს/სტრუქტურულ ერთეულებს მოქმედი საინფორმაციო სისტემებით და განსაზღვრავს მათთვის ტექნიკური საშუალებების მიწოდების აუცილებლობას და სტანდარტებს;
- უზრუნველყოფს სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, სამინისტროს სისტემის ორგანოებსა და მათ ტერიტორიულ ორგანოებს/სტრუქტურულ ერთეულებს შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებათა გამართულ მუშაობას, მათ წვდომას გლობალური ქსელთან (ინტერნეტთან) და

შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კონფიგურირებას, სამინისტროს ლოკალური კომპიუტერული ქსელის მომსახურებას;

- ახორციელებს ახალი პროგრამული პროდუქტების ტესტირებას სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანოების სპეციფიკის გათვალისწინებით და ამ პროგრამული პროდუქტების დანერგვას მათ შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში/სტრუქტურულ ერთეულებში, პროგრამულ პროდუქტებში ცვლილებების შეტანას, ახალ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, ინფორმაციის დამუშავების მეთოდებისა და ალგორითმების გამოკვლევას და დადგენას, მათ საფუძველზე ტექნიკური პროდუქტებისა და დავალებების შემუშავებას;
- მომხმარებლების ინფორმაციასთან წვდომის იერარქიული დონეების გათვალისწინებით, კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით ახორციელებს საცნობარო და ანალიტიკურ უზრუნველყოფას, რომელიც განახორციელებს ცალკეული გადასახადების მიხედვით შემოსავლების, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისა და გადამხდელის შესახებ სრული საინფორმაციო პაკეტის მონიტორინგს;
- ერთიან საინფორმაციო სისტემაზე დაყრდნობით უზრუნველყოფს ანალიტიკურ-სტატისტიკური ფორმების შემუშავებას და ამ ფორმების მიწოდებას სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სამინისტროს სისტემის ორგანოების შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის/სტრუქტურული ერთეულებისათვის;
- მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით თანამშრომლობს შესაბამის უწყებებთან ინფორმაციის ელექტრონული ფორმით ურთიერთგაცვლის უზრუნველსაყოფად;
- მონაწილეობს ქვეყნის სახელმწიფო დაფინანსების ფაქტობრივი მაჩვენებლების ამსახველ სტატისტიკურ-საინფორმაციო კრებულების შედგენა-გამოცემის სამუშაოებში, სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების მომდინარეობის შესახებ საინფორმაციო ფორმების დამუშავებაში;
- უზრუნველყოფს სამინისტროს ვებრესურსების ადმინისტრირებას და სამინისტროს ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის განთავსების ხელშეწყობას;
- ახორციელებს სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას, დანერგვას, განვითარებას, ადმინისტრირებას და მომსახურებას.